ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2014 წლის 12 აგვისტო

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ა." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 და მე-14 მუხლების შესაბამისად,

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1
ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შეიქმნას 6 (ექვსი) ადმინისტრაციული ერთეული შემდეგი სახით:
1. დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – დაბა სტეფანწმინდა, სოფლები: ცდო, გველეთი).

2. სნოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სნო, აჩხოტი, კარკუჩა, ახალციხე, ჯუთა, ქოსელი, ართხმო).

3. სიონის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სიონი, არშა, გარბანი, გაიბოტენი, თოთი, ფანშეტი, ვარდისუბანი).

4. გორისციხის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტეროტორია – სოფლები: გორისციხე, ფხელშე, ტყარშეტი, ხურთისი, ყანობი).

5. კობის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: კობი, უხათი, ალმასიანი, ნოოგყაუ, ქვემო ოქროყანა, შევარდენი, მნა, აბანო, კეთრისი, ტეფი, გიმარა, ცოცოლთა, ბურმასიგი, კარათსოფელი, დესი, სუატისი, რესი, ზემო ოქროყანა.

6.გუდაურის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გუდაური, განისი, ერეთო, სოკურიანი, ფალაგყაუ, ქუმლისციხე).
მუხლი 2
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შალვა ელოშვილი**